ამონაწერის მიღება შესაძლებელია ინგლისურ ენაზეც

ამონაწერის განახლება:

ბიზნესსუბიექტის შესახებ ინფორმაციის მიღება და ამონაწერის განახლება შესაძლებელია სახლიდან და ოფისიდან გაუსვლელად პორტალზე www.my.gov.ge, საჯარო რეესტრის ოფიციალური ვებგვერდზე www.napr.gov.ge ან იუსტიციის სახლის ვებგვერდზე www.psh.ge

ელექტრონული ამონაწერის მომზადებისთვის

- შეავსეთ ვებგვერდზე განთავსებული განაცხადის ფორმა
- გადაიხადეთ მომსახურების საფასური ელექტრონულად, საბანკო პლასტიკური ბარათით

ვადა და საფასური:

- 1 დღეში - 10 ლარი
- იმავე დღეს - 40 ლარი

მოთხოვნილი ამონაწერის მისაღებად ვებგვერდზე, გრაფაში „დოკუმენტების ძებნა“, მიუთითეთ სახელი, გვარი ან ბიზნეს სუბიექტის სხვა რეკვიზიტი და მოძებნეთ თქვენს მიერ მოთხოვნილი ამონაწერი.

- რეგისტრაციის დასრულების და ამონაწერის მზადყოფნის შესახებ მომხმარებელს სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინება ეგზავნება.

საქართველო, თბილისი 0102 წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. 2;
ელ. ფოსტა: info@napr.gvo.ge
ტელ.: (+995 32) 405 405
ვებ გვერდი: WWW.NAPR.GOV.GE

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაარეგისტრირე ბიზნესი სწრაფად და მარტივად

WWW.NAPR.GOV.GE

ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა იუსტიციის სამინისტროს პრიორიტეტია.
საჯარო რეესტრი ქვეყანაში პირველი ადმინისტრაციული ორგანოა, სადაც თითქმის ყველა მომსახურება ელექტრონულად ხორციელდება.
დღეს უცხოელ ბიზნესმენებს, ინვესტორებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი ან სასურველი ინფორმაცია გამარტივებულად, დროისა და ზედმეტი დანახარჯების გარეშე მიიღოს.
თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვამ ბიზნესის რეგისტრაციისათვის საჭირო პროცედურები და ვადები მნიშვნელოვნად შეამცირა, რამაც მომხმარებელთა კმაყოფილება და უწყების წარმატებ ა განაპირობა: მსოფლიო ბანკმა წელს საქართველოს, ბიზნესის კეთების სიმარტივით, 189 ქვეყანას შორის მერვე ადგილი მიანიჭა.

როგორ დავიწყოთ ბიზნესი?

- ბიზნესის დასაწყებად აუცილებელია მისი დარეგისტრირება
- ბიზნესის რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მომსახურების მიღება შესაძლებელია:

- იუსტიციის სახლში
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში
- ავტორიზებულ პირებთან
- 200-მდე ნოტარიუსთან

რა დოკუმენტებია საჭირო ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციისათვის?

- განცხადება (ივსება ადგილზე, მიმღებ ოპერატორთან)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე)

ვადა და საფასური:

- 1 დღე - 20 ლარი
- იმავე დღეს - 50 ლარი

რა დოკუმენტებია საჭირო იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის?

- განცხადება (ივსება ადგილზე, მიმღებ ოპერატორთან)
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- პარტნიორების მიერ მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სარეგისტრაციო განაცხადი - წესდება, რომლის შევსება და დამოწმება შესაძლებელია ადგილზე, მიმღებ ოპერატორთან ან ნოტარიუსთან
- უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან უძრავი ნივთით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება პარტნიორის/დამფუძნებლის, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებულ მისამართზე, უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობის წარმოდგენა საჭირო აღარ არის)
- სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე)

ვადა და საფასური:

- 1 დღეში - 100 ლარი
- იმავე დღეს - 200 ლარი

განცხადების წარდგენისთანავე შესაძლებელია საბანკო ანგარიშის გახსნა.

დაარეგისტრირე ბიზნესი ელექტრონულად:

www.my.gov.ge პორტალის მეშვეობით, ბიზნესის რეგისტრაცია და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია სახლიდან ან ოფისიდან

გადაწყვეტილება ბიზნესის რეგისტრაციის შესახებ

ბიზნესის რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ინტერნეტით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ან იუსტიციის სახლის ვებგვერდზე: www.napr.gov.ge ; www.psh.ge

რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას თან ერთვის ელექტრონული ამონაწერი.